შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.703)

17-24 ოქტომბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სწავლას მშობლიურ სოფელში გააგრძელებენ

სასწავლო პროცესს ნაწილი მირზაანში, ნაწილი - სკოლის გადარჩენილ ფლიგელში აგრძელებს...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 16 ოქტომბერს რიგგარეშე სხდომა გამართა. მთავარ თემას ხანძრის შედეგად განადგურებული ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლისთვის ფართის გამოყოფა წარმოადგენდა. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან (მართალია მხოლოდ ორი წლით), ზემო მაჩხაანის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები დროებით სასწავლო პროცესს თავისსავე სოფელში, კულტურის სახლის სპეციალურად მათთვის განახლებულ ოთახებში გააგრძელებენ.

„მოგეხსენებათ, ხანძრის შედეგად სკოლა მთლიანად დაიწვა, მხოლოდ ერთი ფლიგელი გადარჩა. ამიტომ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ნაწილი სოფელ მირზაანში, ნაწილი კი-სკოლის დარჩენილ ნაწილში აგრძელებს სასწავლო პროცესს. ამგვარი დაქსაქსულობა არცთუ სასიამოვნო სიტუაციას ქმნის არა მარტო სოფლაში, არამედ მთლიანად სოფელში. ამიტომ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება, ოპტიმალური გამოსავალი გვეპოვა. ასეთი გამოსავალი კი სოფლის კულტურის სახლში ვიპოვეთ, სადაც ოთხი ოთახია, რომელსაც გავარემონტებთ და მოსწავლეები და პედაგოგები სხვადასხვა სოფელში აღარ ივლიან გაკვეთილების ჩასატარებლად“- განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას, ზემო მაჩხაანის კულტურის სახლის პირველ სართულზე განთავსებული ოთხი ოთახი უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის განსათავსებლად. ამ ფართის სარემონტო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 13 000 ლარი გამოიყო.

სკოლისთვის ფართის გამოყოფის აუცილებლობაზე ხანძრიდან რამდენიმე დღეში თავისი პოზიცია დააფიქსირა კახეთის გუბერნატორმა.

ირაკლი შიოლაშვილი (კახეთის გუბერნატორი): *„ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის შესახებ დეტალურად გვაქვს ინფორმაცია, ხანძრის შემდეგ შენობა ადგილზე დავათვალიერე. ოპერატიულად მოვახდინეთ კოორდინაცია განათლების სამინისტროსთან, საიდანაც სრული მზაობაა იმისა, რომ სკოლის რეაბილიტაცია დროულად მოხდეს. პირველ ეტაპზე ბავშვების გადანაწილებაზე იყო პრობლემა, თუმცა ეს მალე აღმოიფხვრა. იმავე დღეს სამინისტრომ ტრანსპორტით უზრუნველყო სოფელი, რათა მოსწავლეებს და პედაგოგებს მიმოსვლაში პრობლემა არ შეექმნათ და გაკვეთილები არ გაცდეს. ყველაზე მთავარი, რაც ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, ის გახლავთ, რომ სკოლის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება და ძალიან მალე დასრულდება. იმიტომ, რომ სოფელ ზემო მაჩხაანს ჰქონდეს ძალიან კარგი სკოლის შენობა, რათა ბავშვებს სრულყოფილი ხარისხიანი განათლებისთვის ყველა პირობა შევუქმნათ. ადგილზე მესაბამისი სპეციალისტების ჯგუფმა იმუშავა, ისინი კიდევ აგრძელებენ მუშაობას. მალე დაიდება დასკვნა და მას შემდეგ გადაწყდება, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება, თუ დამწვარი შენობის რეაბილიტაცია მოხდება. ნუ გავასწრებთ მოვლენებს, დაველოდოთ დასკვნას და მივყვეთ სპეციალისტების რჩევებს“.*

ინგა შიოლაშვილი

დღესასწაული ფიროსმანის გარემოში

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა” გაიმართა. კულტურული ღონისძიებები სოფელში 12 საათიდან დაიწყო და მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. ღონისძიების ფარგლებში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ეზოში სპეციალურად დამზადებული და შერჩეული ხალხური რეწვის საუკეთესო ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. სტუმრებს კახური სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნების საშუალებაც ჰქონდათ, რომელიც ნიკალას ეზოს სხვადასხვა კუთხეში დედოფლისწყაროს ყველა სოფელმა საკუთარი ტრადიციების მიხედვით წარმოადგინა.

ფიროსმანის მშობლიურ სოფელში დღესასწაულს ადგიულობრივ ხელისუფლების წარმოამდგენლებთან ერთად პრემიერ-მინისტრის ოჯახი და საქართველოს პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ. საკუთარი შემოქმედება მუსიკალურმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა წარმოადგინეს.სპეციალურად ამ დღისთვის დედოფლისწყაროს ეწვივნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები. მათ გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსთან, მეუფე დიმიტრისთან, კახეთის გუბერნატრთან -ირაკლი შიოლაშვილთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან-ზვიად ჯავახიშვილთან, გამგებელთან-ნიკოლოზ ჯანიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ნუგზარ პაპიაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მიიღეს. დედოფლისწყაროელებს ფიროსმანობა პარლამენტარმა ალექსანდრე თამაზაშვილმაც მიულოცა.

ანზორ მაძღარაშვილი: „პირველად ფიროსმანობა 1972 წელს ჩავატარეთ, შემდეგ 1992 წელს სამოქალაქო ომის გამო სამი წლის განმავლობაში ვერ ვახერხებდით აღნიშვნას. მას შემდეგ ისევ აღდგა და 40-ზე მეტი ფიროსმანობა

(გაგრძელება გვ.3)

aspria seeds GEORGIA

საშემოდგომო მარცვლეული კულტურის ფრანგული თესლები

კომპანია „ასპრია სიიდს ჯორჯია“ ყოფილი „კოსად სემანს ჯორჯია“ გთავაზობთ საქართველოში 5 წლიანი მოსავლიანობის მაღალი შემოწმებული მაჩვენებლებით:

ხორბლის თესლირენანი -მოსავლიანობა 68,9 ც/ჰა-ზე;
პირველი რეპროდუქცია სიმაღლე 83-85 სმ;
თესვის ნორმა 180- 200 კგ/ჰა;
ზამთრისადმი მდგრადობა 8,8 ქულა;
გვალვისადგმი მდგრადობა 8,5 ქულა;
პურსაცხობების შეფასება 8,4 ქულა;
1000 მარცვლის წონა 49,5 გრ;
სავეგეტაციო პერიოდი 288-290 დღე

ქერის თესლი OX1407- მოსავლიანობა 80 ც/ჰა-ზე;
თესვის ნორმა 180-200 კგ/ჰა;
ზამთრისადმი მდგრადობა 9 ქულა;
ცილის დაბალი შემცველობა
ჩალის კარგი ნაყოფიერება

დაგვიკავშირდით:
ტელ: 571 1153 56;
592 77 17 77
თბილისი, პეკინის 39

®

ანსამბლ „შირაქის“ ამერიკული შთაბეჭდილებები

გვ.5

ქართული თაფლის პერსპექტივა

გვ.6

საქართველო აბრეშუმის გზის გასაყარზე

გვ.2

აგვისტოს ომი ჰააგის სასამართლოს ინტერესში



გვ.7

საქართველო აბრეშუმის გზის გასაყარზე

თბილისში გაიხსნა ორდღიანი „აბრეშუმის გზის ფორუმი", რომლის 800-მდე მონაწილე აბრეშუმის გზის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს განიხილავს. ფორუმის ორგანიზატორია საქართველოს მთავრობა, თანაორგანიზატორი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო მხარდამჭერი - აზიის განვითარების ბანკი. ორდღიან ფორუმში მონაწილეობენ აზიის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის 30-ზე მეტი ქვეყნისა და აშშ-ის სამთავრობო დელეგაციები, 20 საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ბიზნესწრეების წარმომადგენლები. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ფორუმს განიხილავენ როგორც შესაძლებლობას ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისთვის.

ვაჭრობა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, კულტურული თანამშრომლობა - ესაა იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელთა ირგვლივაც მსჯელობენ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის" ფარგლებში შეკრებილი 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები. ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახსნა. ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ "თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის" დანიშნულება არის არა მხოლოდ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის, მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა, არამედ პეკინიდან ბრიუსელამდე ყველასთვის სარგებლის მოტანა:

„საქართველოს მიმართ ინტერესი იზრდება განსაკუთრებით ჩვენი სტრატეგიული ადგილმდებარეობისა და ჩვენთან არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემოს გამო. რამდენიმე კვირის წინ ჩინეთს ვსტუმრობდი, სადაც წარმოუდგენლად თბილი დახვედრა მომიწყვეს. ამ მოგზაურობისას ვნახე, თუ რამდენად ბევრი ბიზნესმენია დაინტერესებული საქართველოთი და იმით, რომ მათ ჩვენს ქვეყანაში განახორციელონ ინვესტიციები. ეს ღონისძიება ხაზს უსვამს საქართველოს ტრანსფორმაციას მულტირეგიონალურ კომერციულ კარიბჭედ, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიას და ახლო აღმოსავლეთს".

იმაზე საუბრისას, თუ რა კონკრეტული სარგებელი შეიძლება მიიღოს საქართველომ „აბრეშუმის გზის ფორუმის" შედეგად, „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ აღანიშნა, რომ ფორუმში მონაწილე კომპანიების მხრიდან დიდი ინტერესი შეინიშნება ინვესტიციების განხორციელებისა როგორც სარკინიგზო, ასევე საპორტო ინფრასტრუქტურაში, ლოჯისტიკის სფეროში და ა. შ.:

„ჩვენი კომპანია არის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე აღნიშნულ იდეაში. იცით, რომ მიმდინარე წლის თებერვალში განხორციელდა პირველი საკონტეინერო მატარებლის გადაზიდვა და ჩვენ ჩავეტიეთ 9 დღის ვადაში, მაშინ როცა ზღვის მარშრუტს 45 დღე სჭირდება. ამან გამოიწვია ძალიან დიდი დაინტერესება და ჩვენ სპეციალურ პანელს მივუძღვნით ამ პროექტს".

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. ნავსადგურის ტვირთბრუნვა წელიწადში 100 მილიონი ტონა იქნება.მისითუკვე დაინტერესებულნი არიან უდიდესი ჩინური კომპანიები. რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან პორტის დასაკავშირებლად 20-კილომეტრიანი მონაკვეთია ასაშენებელი და ამ სამუშაოს ქართული მხარე ჩინურ პარტნიორთან ერთად განახორციელებს:

„ძალიან მნიშვნელოვან ინვესტიციებს ველოდებით, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ჩვენ ახლა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მართვის გამარჯვებულის გამოვლენის ბოლო ეტაპზე ვართ და ზუსტად ეს არის ის შემადგენელი ნაწილი აბრეშუმის გზისა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას დამატებითი და მნიშვნელოვანი როლი უნდა შესძინოს აბრეშუმის გზის განვითარებაში".

პრემიერ-მინისტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის" ფარგლებში, საქართველოში აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილე ბრიუს ენდრიუსი იმყოფება. „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს" სტუმრობენ: ჩინეთის სინძიან-უიღურეთის ავტონომიური რეგიონის გუბერნატორი შუქრათ ზაქირი; აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი აბიდ შარიფოვი; ყირგიზეთის ვიცე-პრემიერი ვალერი დილი; გაერთიანებული საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების მინისტრი, შეიხი ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანი; აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ვენჩაი ჟანგი; ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ლასო ბარანია; "ეკონომისტის" წარმომადგენელი ერნანდო დე სოტო და მსოფლიოს საინვესტიციო კომპანიების პირველი პირები.

ფორუმში მონაწილე სტუმრების განცხადებით, საქართველო საინტერესო ქვეყანაა თავისი სატრანზიტო პოტენციალით და ბიზნესის კეთების სიმარტივით. ამასთან, ქვეყანაში კორუფციის დაბალი მაჩვენელია, რაც, მთლიანობაში, მას საინვესტიციო პოტენციალით უცხოელი მეწარმეებისთვის საინტერესოს ხდის.

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის დეკანის გიგა ბედინეიშვილის განცხადებით, მსგავსი ფორუმების ეფექტი მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის ხოლმე, მაგრამ ის მაინც ფიქრობს, რომ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი ბოლომდე გამოყენებული არ არის და, ამ თვალსაზრისით, ანაკლიის პორტით დაინტერესება მნიშვნელოვანია:

„გაცილებით მნიშვნელოვანია მთლიანი საინვესტიციო კლიმატი გავაუმჯობესოთ და თუ ასე მოხდება, ჯერ კიდევ დაბალი გადასახადები გვაქვს, ჯერ კიდევ შედარებით მარტივი რეგულაციები გვაქვს და, ამის გათვალისწინებით, ინვესტორები მოვლენ. მაგრამ, ამასთან, მთავარია სასამართლოს რეფორმა წავიდეს წინ, პოლიტპატიმრები აღარ გვყავდნენ, თორემ, ისე, დარწმუნებული ვარ, ეკონომიკური პოტენციალი ქვეყანას აქვს".

„აბრეშუმის გზის ფორუმი" 16 ოქტომბერს დასრულდა.ფორუმის ფარგლებში გაიმართა მონაწილე ქვეყნების ბიზნესმენთა შეხვედრები და გაფორმდა თანამშრომლობის დეკლარაცია.

ნოდარ ხადური გერმანიის ელჩს შეხვდა

ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური 16 ოქტომბერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ბეტინა კადენბახს შეხვდა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, ფინანსთა მინისტრმა ელჩს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც გერმანია უწევს საქართველოს რეფორმების განხორციელების მიმართულებით. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ფინანსთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს როგორც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან, ისე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებთან.

შეხვედრისას, ნოდარ ხადურმა სტუმარს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ფინანსთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, იმ რეფორმების თაობაზე, რომელიც მიმდინარეობს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების, გადამხდელთათვის სერვისებისა და მომსახურების გამარტივების, საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით.

გერმანიის ელჩმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა საქართველოსთან პარტნიორობის მნიშვნელობას, ასევე სექტემბერში, თბილისში საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში გამართული სამთავრობო მოლაპარაკებების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ გერმანია კვლავ გააგრძელებს საქართველოსთვის პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებას.

გაბრიელ შულცი – საქართველო ძალიან საინტერესო ბაზარია ინვესტორებისთვის

საქართველო ძალიან საინტერესო ბაზარია ინვესტორებისთვის, - ამის შესახებ "შულც გლობალ ინვესტმენტის" დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა გაბრიელ შულცმა "თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის" ფარგლებში გამართულ პანელზე განაცხადა, რომლის თემა იყო "საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები".

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა, პანელში უცხოელმა ბიზნესმენებმა და ინვესტორებმა მიიღეს მონაწილეობა. პანელის ერთ-ერთი სპიკერი იყო გაბრიელ შულცი, კომპანია "შულც გლობალ ინვესტმენტის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. გაბრიელ შულცმა საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის საინტერესო ბაზარია ინვესტორებისთვის და ძალიან კარგი პოტენციალი აქვს ბიზნესის არაერთი მიმართულებით.

"ჩემი აზრით, საქართველო ძალიან საინტერესო ბაზარია ინვესტორებისთვის, ჩვენ ყველანი აქ იმიტომ ვიმყოფებით, რომ ვიცით, საქართველოს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. ესაა ქვეყანა, რომელიც ცდილობს, რომ შექმნას რაც შეიძლება საუკეთესო გარემო ინვესტორებისთვის. არა მარტო ამ რეგიონში, არამედ ზოგადად მსოფლიოში საქართველო განვითარებად ქვეყნებს შორის არის ყველაზე სწრაფად მზარდი და ინვესტიციებზე, ასევე კლიმატის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. ამ მხრივ მას ნამდვილად მოწინავე პოზიცია უკავია", - განაცხადა შულცმა.

მისივე თქმით, საქართველოს საკმაოდ დიდი ჰიდროპოტენციალი აქვს.

"ჩვენ 100 მილიონი დოლარი გამოვყავით მცირე ჰიდროელექტროსადგურებისთვის. ვფიქრობ, რომ ეს საქართველოში ძალიან დიდი პოტენციალი და შესაძლებლობაა. მაგალითად, თუ ევროპაზე გასვლა გინდათ, შესაძლოა, საქართველოში ძალიან კარგად დაიწყოთ ეს საქმიანობა და შემდეგ საქართველოს გავლით გახვიდეთ ევროპაზე, რადგან ნამდვილად ძალიან ხელმისაწვდომია ბევრი პროცედურა, კარგი საგადასახადო რეჟიმები და სისტემაა, შრომითი ხელის ღირებულებაც მისაღებია. ამდენად, ვფიქრობ, ძალიან ბევრი პლიუსია, რომელიც შესაძლოა, სხვა ქვეყნებში არ არსებობდეს. თან საქართველო მუდმივად მუშაობს უკვე არსებული პროცედურების და სისტემების დახვეწაზე. ჩვენი გამოცდილებით, საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც შერწყმულია დასავლეთის და აღმოსავლეთის საუკეთესო თვისებები. საქართველო მისი იდენტურობით ევროპული, დასავლური ქვეყანაა და ამავე დროს ძალიან კარგად ესმის აღმოსავლური აზროვნება. ამ ყველაფერს "აბრეშუმი გზის ფორუმზე" კარგად ვხედავთ - მე ვარ ამერიკელი, დასავლეთის ქვეყნიდან ჩამოსული და აქვე აღმოსავლეთის ქვეყნების ძალიან ბევრი წარმომადგენელია. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ. ჩვენი გამოცდილებით, ის ნამდვილად დადებითია და იმედია, რომ საქართველოში უფორ მეტი ინვესტორი შემოვა და აღმოაჩენს, თუ რამდენად საინტერესო ქვეყანაა", - განაცხადა შულცმა.

მისივე თქმით, ჰიდროენერგორესურსების გარდა, საქართველოს ასევე ძალიან კარგი პოტენციალი აქვს სასტუმროების და ტურიზმის ბიზნესის თვალსაზრისით.

"კიდევ ერთი საინტერესო მიმართულება სოფლის მეურნეობის სექტორია, ეს არ გულისხმობს მხოლოდ ღვინოს. მოცემულ სექტორში ძალიან ბევრი კარგი შესაძლებლობები არსებობს", - განაცხადა შულცმა

ლადო ჭანტურიამ ქართველ სტუდენტებსა და დოქტორანტებს ბერლინში საქართველოს საელჩოში უმასპინძლა

საქართველოს ელჩმა გერმანიაში ლადო ჭანტურიამ ქართველ სტუდენტებსა და დოქტორანტებს ბერლინში საქართველოს საელჩოში უმასპინძლა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე სტუდენტებმა ელჩს გერმანიაში სწავლისა და სამეცნიერო კვლევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და პირადი გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრის ფარგლებში ელჩმა სტუდენტებისა და დოქტორანტების შეკითხვებს უპასუხა როგორც საელჩოს საქმიანობის, ასევე გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ.

უწყების ინფორმაციით, ელჩისა და სტუდენტების შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ქართველ სტუდენტთა ხელშეწყობა გერმანიაში. საელჩომ ქართველ სტუდენტებთან შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

დღესასწაული ფიროსმანის გარემოში



(პირველი გვერდიდან)

გვაქვს ჩატარებული. მინდა გითხრათ, რომ ამ დღის დაწესებამ მნიშვნეოვანი როლი შეასრულა. თუ ამ ტრადიციას არ დავნერგავდით, დღეს ეს მშვენიერი შენობა და საგამოფენო დარბაზებიც არ გვექნებოდა და ბევრ რამეს დავკარგავდით“.

თემურ ჩალაბაშვილი: „აქ იმიტომ ვარ, რომ ქიზიყური და ნიკალას სისხლი მაქვს, ამით რა თქმა უნდა, ვამაყობ. მე სისხლი მტკივა და ამიტომ ვარ ამ ლამაზ სოფელში. როგორც რუსთაველმა შექმნა ეპოქა, ისე ფიროსმანმა შექმნა თავისი ეპოქა და საქართველოს სახელი მსოფლიოში სწორედ ფიროსმანმა გაიტანა. ფიროსმანის მნიშვნელობაზე საუბარი ადვილი არ არის, ვერ შეაფასებ იმხელა მოვლენაა“.

გია ალულიშვილი (მხატვარი): „ნიკალა ჩემი წინაპარი იყო, ჩემი პაპა დიმიტრი ალულიშვილი ის პიროვნებაა, რომელმაც აქ ფიროსმანი იპოვა და დიდ ქალაქში ჩაიყვანა. რძის და ღვინის წერტები აჩუქა, რომლებიც ნიკალამ შემდეგ გაყიდა და ერთი ფაეტონი ვარდები მიართვა მარგარიტას. ფიროსმანი ჩემთვის შთაგონების წყაროც არის. სამხატვრო აკადემია დავამთავრე, მხატვარი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ ნიკალას ნაკვალევზე აღვიზარდე. დღეს ჩვენი ბავშვების ნამუშევრები გამოვფინეთ და შემოვუერთდით ამ სახალხო დღესასწაულს“.

ეკა ბესელია (პარლამენტის წევრი): „ამ სოფელმა მართლაც გენიალური ადამიანი გაზარდა და აჩუქა საქართველოს. დღეს განსაკუთრებული ზეიმია ნიჭიერების, იმ გენის, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ წელს მოვახერხე აქაურობის დათვალიერება. ყველას მინდა მივულოცო ეს დღე. ამ ეზოში განსაკუთრებით იგრძნობა ნიკალას ნიჭიერება“.

ირაკლი ჭიოლაშვილი (კახეთის გუბერნატორი): „მინდა ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო ეს დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება მირზაანში და ჩვენი ტრადიციის ნაწილია. ეს არის ადამიანი, რომელმაც სრულიად საქართველოს გაუთქვა სახელი თავისი დიდი შემოქმედებით და შორს გაიტანა ქართველი კაცის ბუნება. ვისურვებდი, რომ ფიროსმანის მსგავსად ბევრი ნიჭიერი ადამიანი ჰყოლოდეს საქართველოს.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „ეს დღესასწაული სამ ათეულ წელზე მეტია დედოფლისწყაროს ამ უმშვენიერეს სოფელში აღინიშნება. ფიროსმანობა არა მხოლოდ დედოფლისწყაროელების ზეიმია, არამედ ამ დღეს მთელი საქართველო ზეიმობს, ამიტომაც სტუმრები მთელი ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსული. მათ შორის გვესტუმრნენ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებიც. ვფიქრობ, ძალიან ლამაზი ფოლკლორული საღამო გამოგვივიდა და დედოფლისწყაროს ისტორიაში ლამაზ მოგონებად ჩაინერება. ჩვენ მაქსიმალურად შევუნარჩუნეთ ფიროსმანს ის, რითიც ცნობილი იყო, ანუ ხალხურობა. ჩვენი კარი ყველასთვის ღია იყო. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ სტუმარს და ღონისძიებების თითოეულ მონაწილეს“.

ილია მარტყოფლიშვილი



„რა ღონეა დედაენა სკოლისთვის და ერისთვის საკუთრივ!"

წვიმს, კოკისპირულად წვიმს, თითქოს ცა ჩამოიქცაო, მე კი, დილაადრიანად, პირველი საჯარო სკოლისკენ მივიჩქარი რადგან იქ დედაენის ღია გაკვეთლზე ვარ მიწვეული. ბევრი კარგი რამ მსმენია პედაგოგ ნინო ოქროპირიძეზე, მის კარგ მასწავლებლობაზე, როგორც მშობლებისგან, ასევე მოსწავლეებისგან, თუმცა, მე პირველად ვესწრები მის მიერ გამართულ ღონისძიებას, ამიტომ ყურადღებით ვაკვირდები მის დიდაქტიკურ-შემეცნებით მიდგომებს. იაკობ გოგებაშვილის დედა ენა, „აი ია" და „ანბანი", ეს გახლდათ ღია გაკვეთილის უმთავრესი გზავნილი მოსწავლეებისადმი. ოცი ახლადდაფრთიანებული მოსწავლის პასუხები დამაჯერებელია, ღიმილი მეფინება. მერე რა, თუ ჩვენი გადმოსახედიდან კითხვები მარტივია და პასუხებიც ძალიან უბრალო. სწორედ ასე ეყრება საძირკველი სწავლის მშენებლობას. ვეუფლებოდი - „აი-იას" ჯადოსნურ სამყაროს და ილია ჭავჭავაძის სიტყვები მახსენდებოდა: - „დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედაენა სკოლისთვის საერთოდ და საეროსთვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებითა და უკანმოუხედავად ვკითხულობთ დედა ენისთვის სრულს და დაუბრკოლებელ გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვკითხულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, გათახსირებისაა,- და განა ეს სასურველია ვისთვისმე?" -ამ სიტყვების ფონზე, გაცილებით იზრდება ჩემი წარმოდგენა დაწყებითი კლასის პედაგოგების მიმართ, რომელთა შრომა ერის წინაშე შეუფასებელია. შესაძლოა, ამაზე ყოველდღიურად ნაკლებად ვფიქრობთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ პირველ პედაგოგებზეა დაშენებული ჩვენი აწმყო და მომავალი.

სწორედ დედაენის არსზე და მნიშვნელობაზე სასაუბროდ დარაზმულიყვნენ მერხებთან ლამაზად შემომსხდარი მოსწავლეები,

რომლებიც საკუთარ მასწავლებელს თვალებგაფართოებული შესცქეროდნენ. ესენი არიან: მიხეილ ალადაშვილი, დავით გურამიშვილი, მარიამ გალიდი, ნიკოლოზ ზუბიაშვილი, ანა ზირაქიშვილი, ნატალი თითილოკაშვილი, მათე კვანჭილაშვილი, მარიამ კუპატაძე, ირაკლი მაზანიშვილი, დავით მარტყოფლიშვილი, თეკლა ნატროშვილი, მარიამ ნატროშვილი, გიორგი საბიაშვილი, ნინო საბიაშვილი, ნიკოლოზ ღვედაშვილი, ნიკოლოზ შანშიაშვილი, თეკლა ჩერქეზიშვილი, ელიზავეტა ცქიტიშვილი, ალექსანდრე ხელაშვილი და ნიკა ხუდოვი.

კლასში გაბატონებულ სიჩუმეს პედაგოგის ტკბილი და მშვიდი ხმა არღვევს, ის სათუთად უდგება ღია გაკვეთილის თითოეულ საკითხს და პატარებს ძალიან ნაზად, მოწიწებით, მშობლიური სითბოთი კითხვა-პასუხის მეთოდით ესაუბრება. თავდაპირველად წელიწადის დროები ჩამოთვალეს, თვალსაჩინოებისთვის წელიწადის ყველა დროს პედაგოგი ფოტოსურათს ურთავს და აჩვენებს, ამ მიმზიდველ და ლამაზ სამყაროს კი, ისინი რომელ ქვეყანაში ხედავენ და შეიგრძნობენ? - რა თქმა უნდა, საქართველოში! ვინ იყვნენ ჩვენი გმირი წინაპრები? რა ჰქვია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს? რომელია საქართველოს კუთხეები? -პასუხები სხარტი და სწორია. საუბარი გოგებაშვილის ბიოგრაფიაზე და ყველაზე ძვირფასი წიგნის „დედაენის" თავფურცელზე გადააქვთ. ამ თემაზე სკოლაში ახლადფეხადგმული მოსწავლეები კიდევ უფრო აქტიურები ხდებიან და ხელის აწევით პასუხობენ პედაგოგს.

შემდეგ ასახელებენ ერთსიტყვიან, ორსიტყვიან და მრავალსიტყვიან წინადადებებს. ბავშვებს უკვე კარგად შეუსწავლიათ, რომ წინადადება სიტყვებისგან შედგება, სიტყვები მარცვლებისგან

და ასობგერებისგან. ასოებს ვწერთ და ვხედავთ, ხოლო ბგერებს წარმოვთქვამთ და გვესმის. წინადადების ბოლოს წერტილი იწერება. ამის შემდეგ პედაგოგის მიერ დაფაზე იწერება დედაენის საწყისი ასოები- „ი" და „ა", მერე კი, „აი ია", აქვე ჯადოსნური ყუთიც ჩნდება, საიდანაც პედაგოგის ხელით ლამაზად გამოჭრილი წითელი ხავერდის ქალაღლის ასო „ი" და „ა" ამობრძანდება. ეს ლამაზი ასოები კლასის კედელზე საგანგებოდ ანბანისთვის გაკეთებულ მატარებლის ვაგონში იდება და მათი მატარებელიც დაიქოქა. მოსწავლეებმა პედაგოგთან ერთად შეასრულეს სიმღერა შემოდგომაზე, ლექსები მიუძღვნეს იას და დედაენას. ამ დღის აღსანიშნავად ბავშვებს პედაგოგმა ნინო ოქროპირიძემ სამახსოვრო ბარათებიც დაურიგა. ბარათში ასეთი სიტყვები ეწერა:- „ჩემო პატარა მეგობარო, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია შენს ცხოვრებაში. დღეს შენ გადადგი პირველი ნაბიჯი ანბანის ჯადოსნურ სამყაროში, გისურვებ წარატებებს, უფალი გფარავდეს!"- შენი პირველი მასწავლებელი ნინო ოქროპირიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დაწყებითი კლასის პედაგოგები, მშობლები და სკოლის დირექტორი ქალბატონი ეთერ ოთარაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა პედაგოგს, მოსწავლეებს მშვენიერი ღია გაკვეთილის ჩვენებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ისინი ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებიან.

ლალი მეხრიშვილი

„დაილოცოს „დედა ენის" შემოქმედი"...

დაწყებითი სასკოლო პერიოდი თითქმის ყოველთვის განსაზღვრავს ბავშვის მომავალი სასკოლო ცხოვრების ხასიათს და ყველაზე დიდ სიფრთხილესაც სწორედ ეს პერიოდი საჭიროებს. ჩაატარო კარგი გაკვეთილი, ნიშნავს, საინტერესოდ მიაწოდო ინფორმაცია ბავშვებს, არ მისცე მას გაკვეთილიდან გათიშვის საშუალება, თანაბარი ყურადღება დაუთმო თითოეულს და ამას მიაღწიო მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობაზე მანიპულირებით და არა ძალდატანებით.

უინსტონ ჩერჩილი ამბობდა, სკოლის მასწავლებელი ისეთ ძალაუფლებას ფლობს, რომელზედაც ქვეყნის მეთაურები მხოლოდ ოცნებობენო. მართლაც, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია პედაგოგს თითოეული მოსწავლის, ავტომატურად, სახელმწიფოს წინაშე, რადგან მასწავლებლის მთავარი მიზანია, ქვეყანას, საზოგადოებას შემატოს საღად მოაზროვნე პიროვნება, თუნდაც მან აღარ გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

მასწავლებლობა პროფესია კი არა, მოწოდებაოო. დიახ, მონოდებით პედაგოგის, ნონა პოპიაშვილის ღია გაკვეთილზე ვიმყოფებოდი 14 ოქტომბერს N1 საჯარო სკოლაში. ნონა მასწავლებელი პატარა აღსაზრდელებს"აი იას" გადასცემდა, გაკვეთილის ფორმატი თეატრალიზებული იყო, მოსწავლეთა ჩაცმულობიდანვე იგრძნობდით, რა დიდი შრომა იყო ჩადებული ამ გაკვეთილის მომზადებაში.

პრაქტიკულად ჩვენ ბავშვობა ერთ ეზოში გავატარეთ და მე დღეს მინდოდა მკითხველისთვის უფრო მეტი ინფორმაცია მიმეწოდებინა მის შესახებ, მაგრამ ნონამ ჩვეული თავმდაბლობით, საგანგებოდ მთხოვა, სტატია მოკრძალებული ყოფილიყო, თუმცა, არ შემიძლია, არ განვმარტო, მოწოდებით პედაგოგი სათავეშივე უბრალოდ არ მითქვამს. მას ბავშვობიდანვე გამორჩეულად უყვარდა „მასწავლებლობანას" თამაში, იყო ძალიან ბეჯითი და პასუხისმგებლიანი მოსწავლე, უკონფლიქტო, კარგად აღზრდილი. ღია გაკვეთილზე ყოფნისას თვალწინ გამიელვა მთელმა ბავშვობამ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ", შემდეგ კი ცხოვრება მდიდარი გამოცდილებებით გვანებივრებს. აკი თვითონაც აღნიშნავს ჩვენთან საუბარში:

-ბავშვობიდანვე ვოცნებობდი პედაგოგობაზე, ყოველთვის მომწონდა მასწავლებლის როლში ყოფნა, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მიყვარს პატარები, გადავწყვიტე, დაწყებითი კლასების პედაგოგი გამოვსულიყავი. პედაგოგი შემთხვევით ვერ გამოხვალ, ეს არის საკმაოდ რთული, საპასუხისმგებლო პროფესია. იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, რომ სხვა ამპლუაში თავი ვერ წარმომიდგენია. ვცდილობ, ისეთი მასწავლებელი ვიყო, რომ ჩემს მოსწავლეებს თვითონაც გაუჩნდეთ პედაგოგობის სურვილი. 21-ე საუკუნის მასწავლებელი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს, რათა თანამედროვე თაობების საგანმანათლებლო საჭიროებები და მოლოდინები დააკმაყოფილოს, ამიტომ, ჩვენ მუდმივად უნდა ვიყოთ სიახლეების ძიებაში . ჩემთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს აღვზარდო პიროვნება, რომელიც იქნება ჰუმანური, მოქალაქეობრივი და ტოლერანტული იდეების მატარებელი -ამბობს ნონა და სჯერა, მისი შრომა დაფასდება და მომავალში მისივე მოსწავლეების წარმატებებში აისახება.

გასული წლის სადამრიგებლო კლასის მშობლები მას განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებენ და ხაზს უსვამენ, რომ ნონა მასწავლებელი გამოირჩევა ობიექტურობით, მოსწავლეთა თანაბარყურადღებიანობითა და განურჩევლობით.

ოცწლიანი პედაგოგიური სტაჟის ფონზე წელს მესამე სადამრიგებლო კლასი ჰყავს ნონა მასწავლებელს, 17 წყვილი გაცისკროვნებული თვალი იმედით შესციცინებს მას.

-ბავშვებო, იაკობ გოგებაშვილი 36 წლის იყო, როცა დაიბადა ჩვენი საყვარელი წიგნი „დედა ენა", ამ დღიდან ერმა იწამა და გულზე დაიწერა იგი. გოგებაშვილის „დედა ენამ" თავისი დაბადების პირველ წელსვე ჩაიცვა რკინის ქალამანი, დაიჭირა რკინის ჯოხი და მოიარა საქართველოს მთა-ბარი. შეანათა ქოხშიც და სასახლეშიც, გაანათა ჩაუქრობელი სინათლით და აუწყა ყველას: „შენ გაქვს საუკეთესო „დედაენა", მოუარე, გაუფრთხილდი მას".

დღეს თქვენ ანბანის ჯადოსნურ სამყაროში პირველი ნაბიჯები უნდა გადადგათ, მეც თქვენთან ერთად შემოვალ ამ სამყაროში და ვეცდები, ღირსეული მეგზურობა გაგიწიოთ."-ამ სიტყვებით მიმართავს ნონა მასწავლებელი თავის პატარა აღსაზრდელებს და ჩვენს თვალწინ ლექსებით, გამონათქვამებით, ჰიმნით, ინსცენირებებით გაჯერებული ღია გაკვეთილი იწყება.

-რა არის სამშობლო, როგორია ჩვენი საქართველო, რომელია მისი დედაქალაქი, სად ვცხოვრობთ ჩვენ, რა არის ცოდნა, რა არის წინადადება და რისგან შედგება ის, ეს იმ კითხვათა არასრული ჩამონათვალია რომელზედაც თათიამ, კესომ, კოტემ, მარიამმა, ლიზომ, საბამ, სალომემ, თიკომ, ნიკამ, ანელიმ, ნინომ სრული პასუხები გასცეს მასწავლებელს და მოწვეული პედაგოგებისა და მშობლების წინაშე ასახელეს.

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელმა მოსწავლეებს სამახსოვრო ბარათები გადასცა, სადაც ასე მიმართავდა თითოეულ მათგანს:

„-ჩემო პატარა მეგობარო, წელს შენ პირველად შეაღე სკოლის კარები. მეც შენთან ერთად მიხარია შენი დღესასწაული, შენ ჩვენი ქვეყნის მომავალი, 21-ე საუკუნის თავისუფალი მოქალაქე ხარ და დღეს პირველ ნაბიჯებს დგამ ანბანის ჯადოსნურ სამყაროში.

დაე, ამიერიდან შენი ცხოვრების მეგზური გახდეს დიდი იაკობის სიბრძნით და სიკეთით სავსე „დედა ენა".

სიყვარულით და ყურადღებით მოეკიდა მას. პატივი ეცი შენს მასწავლებლებს, რომლებიც ყველა ღონეს იხმარენ, რომ შენ ღირსეული ადამიანი გაიზარდო.

მე დიდ იმედებს ვამყარებ შენზე, ჩემო პატარა!"

ძნელია, ეს სიტყვები ემოციების გარეშე მოისმინო, მოისმინო და არ იმოგზაურო წარსულში, არ გაგახსენდეს შენი პირველი მასწავლებელი და „აი იას" გაკვეთილი. პედაგოგობაც ხომ სწორედ ის არის, მასწავლებელი შენი სულის ყველაზე სათუთ სიმებს შეეხოს და მასზე ნათელი კვალი დაგიტოვოს.

არ ვიქნები სუბიექტური, თუ ვიტყვი, რომ ჩემი დიდი ტრადიციების მქონე სკოლას უამრავი ღირსეული მასწავლებელი ჰყავდა და ჰყავს, თითოეული მათგანი ყოველთვის მოტივირებულია, ღირსეული და განათლებული თაობების აღზრდაზე, თაობების, რომლებსაც უდიდესი წვლილი შეაქვთ და შეიტანენ ჩვენი სამშობლოს აღმშენებლობის საქმეში.

ელზა ხარაშვილი

ანსამბლ „შირაქის“ ამერიკული შთაბეჭდილებები

დედოფლისწყაროში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი „შირაქი“ ზაფხულში სამკვირიანი გასტროლებით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. მოცეკვავეებმა „საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალში“ მიიღეს მონაწილეობა. ამერიკულ შთაბეჭდილებებზე, შეფასებებსა და სამომავლო გეგმებზე ანსამბლის ხელმძღვანელს, ქორეოგრაფ ალექსი გაბრიელაშვილს **და „შირაქის“** მოცეკვავეებს **ვესაუბრეთ.**

ალექსი გაბრიელაშვილი: „ჩვენმა ანსამბლმა ევროპაში ფეხი 2007 წლიდან აიდგა და პირველად საფრანგეთში გავედით. მას შემდეგ ყოველწლიურად დავდივართ საზღვარგარეთ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. პარიზშიც რამდენჯერმე ვიყავით... სიმართლე გითხრათ, არც პარიზში მოხვედრა და სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობაა ადვილი. როცა ანსამბლ „რუსთავში“ ვცეკვავდი, ამერიკაში 1990 წელს ვიყავი ოთხთვიანი გასტროლით, შემდეგ 1996 წელს ანსამბლი „გურჯაანი“ მყავდა, მთელი ამერიკა შემოვიარეთ. მას შემდეგ სულ მქონდა ნოსტალგია და ყოველთვის მინდოდა დედოფლისწყაროელი ბავშვებიც გასულიყვნენ, მითუმეტეს, რომ ეს ბავშვები თავიდანვე ჩემი გამოზრდილები არიან, პირველი კლასიდან ჩემთან დადიან. გვერდიდან არ მომშორებიან და მთელი ენერგია ჩავდე მათში.

- საინტერესოა, როგორ მოხვდით ამერიკაში და რა ფესტივალებში მიიღეთ მონაწილეობა?

- ფესტივალის ორგანიზატორების კოორდინატები მქონდა, სადაც ჩვენი მონაცემები და მასალა გავაგზავნე. სხვათაშორის, მინდა გითხრათ, რომ ტექნოლოგიების ხანაში ასე გაგზავნილ მასალას ამერიკელები უკვე არ ენდობიან. ყველა იმ ქვეყანასა და ფესტივალზე გადაგვამოწმეს, რომელიც ჩვენ გვქონდა ჩამოთვლილი. სხვა ქვეყნებს და მათ ორგანიზატორებს დაუკავშირდნენ და ყველგან მოისმინეს აზრი და რეკომენდაცია ჩვენი ანსამბლის შემდეგ. თანხმობა კი მას შემდეგ მოგვცეს, როცა სხვა ქვეყნებმა ჩვენი მისამართით დადებითი შეფასება გააჟღერეს. ცნობილია, რომ არც საქართველოს საკონსულოშია ადვილი ამერიკის ვიზების მიღება. მაშინ ჩვენ გავბედეთ და საელჩოში შევედით, აბსოლუტურად ყველა ბავშვმა მიიღო აშშ-ს ვიზა 10 წლიანი ვადით. ჯერ მხოლოდ ამიტომ ღირდა ეს გასტროლი, რომ ბავშვებს მომავალი 10 წლის განმავლობაში შტატებში გზა ხსნილი ექნებათ. ეს ახალგაზრდები სკოლას წელს დაამთავრებენ, ცხოვრებას ახლა იწყებენ და მათთვის ამერიკის ათწლიანი ვიზა, მართლაც, წარმოუდგენელი პერსპექტივაა.

ამჯერად, ამერიკის მსოფლიო ფესტივალზე გამოვედით და იქ მონაწილეობა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ბავშვები სულ სხვანაირები გახდნენ. გადანაწილებული ვიყავით და სხვადასხვა ოჯახებში ვცხოვრობდით. ადგილზე 18 დღე დავყავით და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ოჯახი გამოვიცვალეთ, მოგვიწია როგორც ფინანსურად ძლიერ, ისე ნაკლებად შეძლებულ ოჯახებში დარჩენა. ყველანაირი კატეგორია შეგვხვდა და ფაქტიურად, მათ ცხოვრების წესსა და საოჯახო მენიუში ჩავიხედეთ.

- საქართველოს გარდა, ფესტივალზე რომელი ქვეყნები იყო წარმოდგენილი?

- „საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი“ ერქვა, სადაც რვა ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. ბელგია, ლიტვა, ლატვია, ჩილე, პერუ, ტაივანი, პოლონეთი და საქართველო. ადრე გასტროლებზე თარჯიმანი მიგვყავდა ხოლმე, რაც დამატებით ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება. ამჯერად კი, რადგან ეს ბავშვები სკოლაში სწავლობენ და ინგლისურში ემზადებიან, ჩავთვალე, რომ თარჯიმანის წაყვანა ზედმეტი ხარჯი იქნებოდა და ამ ბავშვების იმედზე წავედით, ისინი გვითარგმნიდნენ და, სხვათაშორის, ძალიან კარგად.

ერთ საინტერესო დეტალს გავიხსენებ. მოთხოვნა იყო, რომ ყველანაირი მუსიკალური გაფორმება ცოცხალი შესრულებით ყოფილიყო. ესეც ჩვენს ხარჯებს ზრდიდა, მუსიკოსებისთვის ხელფასიც უნდა მიგვეცა და გზის ხარჯებიც დაგვეფარა. ამერიკაში

მგზავრობა კი იაფი არ ჯდება. წავიყვანეთ მხოლოდ დოლი და სალამური, მხოლოდ ასე ჩავატარეთ რამდენიმე ცეკვა. შემდეგ კი ორგანიზატორებს ვთხოვე, გამონაკლისი დაეშვათ და უფლება მოეცათ, ერთი ცეკვა ფონოგრამაზე შეგვესრულებინა. იმდენად მოეწონათ ფარიკაობა-მთიულური, რომ ამის შემდეგ „შირაქი“ ფავორიტ ანსამბლად დასახელდა და გვითხრეს, თქვენ ყველაფრის უფლება გექნებათო. არადა, სხვა ანსამბლებს მკაცრად ეკრძალებოდათ ფონოგრამის გამოყენება. საკმაოდ ხანგრძლივი აპლოდისმენტები იყო, რაც ამ ბავშვების დამსახურებაა.

- თუმცა, ვინაიდან თქვენი ანსამბლი სახელმწიფო დაფინანსებაზე არ იმყოფება, ვიცი, რომ მგზავრობის ხარჯების გაღება ანსამბლის წევრების მშობლებს მოუხდათ...

- დიახ, მადლობა მინდა გადავუხადო მშობლებს, რომ არა ისინი და მათი ფინანსური თანადგომა, ეს გასტროლი ვერ შედგებოდა. მათ სამგზავრო ბილეთების თანხები თავად გაიღეს. ხელი შეგვიწყო რაიონის ხელმძღვანელობამაც, რამდენიმე დოკუმენტი დაგვჭირდა, არც კი დაფიქრებულან, მხარში დაგვიდგნენ. ყველაფრისთვის დიდი მადლობა. თუმცა, შეიძლებოდა მცირე ფინანსური თანადგომაც, მაგრამ, ადგილობრივ ბიუჯეტს უჭირს.

- მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მოღვაწეობთ, საკმაოდ ხშირად გაქვთ საზღვრებს გარეთ გასტროლები, როგორ ახერხებთ ასეთ აქტიურობას და რაშია თქვენი მუდმივი წარმატების საიდუმლო?

- 18 წლის მანძილზე ანსამბლ „რუსთავში“ ვცეკვავდი, სადაც წლის განმავლობაში დროის დიდ ნაწილს საზღვარგარეთ გასტროლებში ვატარებდით. როდესაც ცეკვა შევწყვიტე, მას შემდეგ სულ მქონდა ამ ქვეყნების ნოსტალგია. ამიტომ ვერ გავძლებ ისე, რომ წელიწადში ერთხელ მაინც საზღვრებს გარეთ არ გავიდეთ. ამისათვის კი კარგი ანსამბლი იყო საჭირო. 1990 წლიდან ვმუშაობ დედოფლისწყაროში, იცით, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი თაობა გამიზრდია, მაგრამ თამამად მინდა ვთქვა, რომ ანსამბლი „შირაქი“ ასეთი ძლიერი არასოდეს ყოფილა. საკმაოდ ძლიერები არიან და ეს დიდი შრომის შედეგია. წასვლამდე ხშირი მუშაობა გვქონდა, დილა-საღამოს რეპეტიციებს ვატარებდით, ბოლო ერთი წელია საქართველოში შიდა ფესტივალებში აღარ მიგვილია მონაწილეობა და მთელ ენერგიას მომზადებას ვახმარდით. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი ხშირად ატარებს ფესტივალებს, სადაც ჩვენც ვმონაწილეობთ ხოლმე, რადგან აქ ბავშვები ძალიან იზრდებიან.

ეს გასტროლები ჩვენთვის ცხადია სამომავლო გეგმებზეც აისახება. უკვე მივიღეთ რაღაც შემოთავაზებები, რომლებიც დაგეგმილი არ გვქონია. მივიღეთ წერილი, სადაც გვწერენ, რომ იუტას შტატში თქვენზე ბევრი საუბრობდა, კარგად გახასიათებდნენ და 31 წლის განმავლობაში თქვნაირი ანსამბლი არ გვყოლიაო. ცოტა რთულია ამერიკაში გასამგზავრებელი თანხები მოვიძიოთ, ამიტომ გადაჭრით თანხმობას ვერ ვამბობთ მოვახერხებთ თუ არა მონაწილეობის მიღებას. ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ იქნებ მოვიპოვო ამერიკიდან მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება. კარგი იქნება, თუ ამერიკული

მხარე შეგვეშველება ფინანსებში.

ადრე საზღვარგარეთ გასვლა კულტურის სამინისტროს გავლით ხდებოდა და სუსტ ანსამბლებს არ უშვებდნენ, ახლა ყველაფერი გამარტივებულია და ახლა გასვლას შედარებით ადვილად ახერხებენ. მე მიმაჩნია, რომ ანსამბლი ძლიერი უნდა იყოს, რომ უცხოეთში იცეკვოს. ვფიქრობ, სახელმწიფოს მხრიდან უნდა გაკონტროლდეს ეს პროცესი.

- წარმატებების ფონზე ვიცი, რომ გაქვთ ხელისშემშლელი გარემოებებიც, მაგალითად არ გაქვთ სათანადო დარბაზი...

- ნამდვილად, ისევ იმ პატარა დარბაზში გვიწევს მომზადება, სადაც არ არის ნორმალური პირობები. არც გათბობა გვაქვს, შეშის ღუმელი გვიდგას და ზამთარში რთული სიტუაციაა ხოლმე. რატომღაც, მერამდენე წელია, ვერ მოხერხდა ჩვენთვის ნორმალური დარბაზის გამოძებნა. უფრო მეტი სივრცე გვინდა, რომ მეტი შევძლოთ, მეტი ქორეოგრაფიული ხედვა გვქონდეს. ამდენი წარმატების მქონე ანსამბლი, რომელსაც სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა, სადღაც კუთხეშია. ვეცდებით, პირველი საჯარო სკოლის დარბაზში შესვლის უფლება აუქციონის შედეგად მოვიპოვოთ და თუ გაგვიმართლა, უკეთესად ვიმუშავებთ. 2012 წლის 19 დეკემბერს სახალხო ანსამბლის წოდება რომ მოგვენიჭა, გვეგონა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მცირე დაფინანსების გამოყოფა მოხერხდებოდა, რომ ამ ბავშვებს აღარ უნევდეთ ყოველთვიური გადასახადის თავად დაფარვა. სხვა რაიონებში ბევრგან ფინანსდებიან, ჩვენ კი ბევრ მათგანზე ძლიერი ანსამბლი გვაქვს, თუმცა არ გვაქვს საბიუჯეტო დაფინანსება. ფაქტიურად ენთუზიაზმზე ვმუშაობთ. ელემენტარულს ვითხოვთ, იყო პირობაც, რომ რაღაც გამოიძებნებოდა, მაგრამ გადის წლები. მსოფლიოში გაიცნეს ჩვენი ბავშვები, მაგრამ ხელშეწყობა არ გვაქვს. იქნებ სპონსორი, ან გულშემატკივარი გამოგვიჩნდეს ვინმე. გვესმის, რომ გაჭირვებაა და ვერ მოვთხოვთ, ბევრი ღატაკი აკითხავს გამგეობას, ქვეყანას უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ სამომავლოდ იმედი გვაქვს. ვფიქრობ, თუ „სახალხო ანსამბლს“ ვუწოდებთ, უფრო მეტი ყურადღება უნდა იყოს“.

ერეკლე ჩერქეზიშვილი: „დასაწყისში მინდა გითხრათ, რომ არა მხოლოდ „შირაქმა“ ჩაიწერა ჩვენთან ინტერვიუ, არამედ ამერიკულმა ტელეკომპანია „ფოქსმა“ და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებმა. დიდი ყურადღების ცენტრში ვიყავით და როკ ვარსკვლავებივით ვგრძნობდით თავს. ეს ფესტივალი დიდი ხანია იმართება, თავდაპირველად ცივი იმის დროს ჩატარდა და მისი მთავარი მიზანია სხვადასხვა ქვეყნების დამეგობრება. ვფიქრობ, ძალიან კარგად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. რაც შეეხება ჩემს ემოციებს, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ბევრ ფესტივალზე გამოვსულვარ, მაგრამ ჩემთვის ამერიკა იყო ყველაზე გამორჩეული და შთამბეჭდავი. საორგანიზაციო საკითხებშიც ყველაფერი კარგად გათვლილი. ძალიან მახარებდა ის ფაქტი, რომ ალიკა მასწავლებელმა თარჯიმანის მისია დამაკისრა და ყველა შეხვედრაზე მე დავდიოდი. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მე მოვექეცი და სასიამოვნო იყო. ძალიან თბილი დამოკიდებულება მოდიოდა. ცეკვების შემდეგ მაყურებელი ჩვენთან მოდიოდა და გვეუბნებოდა, რომ მათი ფავორიტები ჩვენ ვართ. აინტერესებდათ, კიდევ როდის ვიცეკვებდით, რომ ვენახეთ. სხვა ქვეყნებიდან საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე ანსამბლები იყვნენ წარმოდგენილნი და ვფიქრობ კარგი კონკურენცია გავუწიეთ. მაგალითად, ლატვიის ანსამბლი 1945 წლიდან მოქმედებს. ამაღლებული ემოციებით დავბრუნდი და ახლა, როცა იქ გატარებულ დღეებს ვიხსენებ, თან სევდა მეუფლება, თან ბედნიერების განცდა მაქვს. ამაყი ვარ, რომ იქ ვიმყოფებოდი და ეს უბრალოდ არ ხდება. ალიკა მასწავლებელმა დიდი შრომა ჩადო ამაში. მინდა გითხრათ, რომ ეს მხოლოდ მოგზაურობა არ იყო, თავის მხრივ, ეს დიდი გამოცდილებაა, როგორც ანსამბლისთვის, ისე თითოეული წევრისთვის. ასეთი შანსი ბევრს მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ეძლევა. მართლა ბევრი მეგობარი შევიძინეთ, უახლოეს დღეებში იქ გაცნობილი ერთერთი მეგობარი თბილისში ჩამოსვლას გეგმავს და მომწერა რომ აუცილებლად უნდა მნახოს. ამ ურთიერთობების გაგრძელება ჩემთვის ყველაზე ფასეულია“.

გიგა ფხოველიშვილი: „მეც დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. მგზავრობა გრძელი და დამღლელი იყო, მაგრამ ემოციები ყველაფერს ანეიტრალებდა. ჩასვლისთანავე ოჯახებში გაგვანაწილეს და ძალიან გულთბილად დაგვხვდნენ. ორი ქვეყნის კულტურა გავაცანით ერთმანეთს. ვცდილობდით დიდი პატივისცემა გამოგვეხატა. მათი მხრიდანაც, არა მხოლოდ ოჯახებში, არამედ ქუჩაშიც, ყველა სითბოს ამჟღავნებდა. ოჯახებმა იუტას ღირსშესანიშნაობებიც დაგვათვალიერებინეს, რაც ჩვენთვის მართლაც შთამბეჭდავი იყო და ამის გამო ბედნიერი ვარ. დიდი გამოცდილება შევიძინე, ასევე ათწლიანი ვიზა დამრჩა, რასაც ალბათ სამომავლოდ გამოვიყენებ. ყველას ვუსურვებდი, ასეთ გამოცდილებას. როდესაც უცხო ქვეყნის სცენაზე გამოვდივარ, მაქსიმალურად ვცდილობ ღირსეულად წარმოვაჩინო ჩემი ქვეყანა. კმაყოფილების განცდაა, როცა ჩემი შრომით სხვა ეროვნების მაყურებელს სასიამოვნო განწყობას ვჩუქნით. ერთერთერთი ყველაზე გამორჩეული იყო ჩემთვის სოლტლეიტსითის ცენტრი, პრეზიდენტების სასახლეები, მურმონების ტაძარი. ასევე, ოჯახის წევრებმა მე და ერეკლე წაგვიყვანეს როდეოზე, სადაც ძალიან გავერთეთ და მართლა დიდი სიამოვნება მივიღეთ. ყოველთვის ვოცნებობდი ამ ადგილის ნახვაზე და ეს სურვილი ავისრულე“.

თეონა გაბრიელაშვილი: „ქალაქ სოლტლეიტსითის ღირსშესანიშნაობები მოვინახულეთ, კაპიტალიუმი, მურმონების ტაძარი, წმინდა იესო ქრისტეს ეკლესია და სხვადასხვა მუზეუმი. ვცხოვრობდით ქალაქ სპრინგვილში და ქალაქ ბოუნტიფულში, სადაც დავათვალიერეთ მნიშვნელოვანი ადგილები. იუტას მსოფლიო ფესტივალი მრავლისმომცემი იყო ჩვენთვის, რადგან ქართული კულტურისა და ტრადიციების წარმოჩენის შესაძლებლობა მოგვეცა. ვფიქრობ, ამერიკელები მოხიბლული დარჩნენ ქართული ცეკვის სილამაზით. გასტროლის დროს ბევრი უცხოელი მეგობარი შევიძინეთ, რომელთანაც დღემდე გვაქვს კონტაქტი. ბედნიერი ვარ, რომ ამერიკის ათწლიანი ვიზა მაქვს და მომავალში სასწავლებლად აუცილებლად გამოვიყენებ. მასპინძელმა ოჯახმა თავიანთი სურვილით სიურპრიზი მოგვიწყეს და ბრაის კანიონში წაგვიყვანეს, რომელიც სამხრეთ იუტაში მდებარეობს და საკმაოდ ბევრი ვიზიტორი ჰყავს. არიზონასთან ახლოსაა და მხოლოდ გზა ხუთ საათს გრძელდებოდა. ამისთვის მასპინძელმა ოჯახმა ძალიან დიდი ფინანსური ხარჯი გაიღო. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია ამ მხარეში, უზომოდ შთამბეჭდავია და ყველამ აუცილებლად უნდა ნახოს. სხვათაშორის, ყოველთვის მქონდა მენახა ეს ადგილი“.

ილია მარტყოფლიშვილი

ქართული თაფლის პერსპექტივა

დავიპყროთ თუ არა ევროპულ ბაზარს?!

რამდენიმე წლის წინ, ევროპასა და ამერიკაში ჩინელებმა თაფლი ფეიტანეს, ეგონათ, მათ პროდუქციას ყველა მოწონებით შეხვდებოდა, მაგრამ, იმედი გაუცრუვდათ. ევროპელებმა მათ თაფლს ხარისხი დაუწუნეს, პესტიციდების, ანტიბიოტიკების ზედმეტი დოზა აღმოუჩინეს... მათი პროდუქცია მანამდე არ გახდა ევროპული ბაზრის სრულუფლებიანი „წევრი“, სანამ ევროპული სტანდარტები არ დააკმაყოფილა.

„მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება საქართველოში ისეთივე უძველესია,როგორც მეღვინეობა-მევენახეობა და ყველის წარმოება. ჩვენმა ქვეყანამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). სწორედ ეს შეთანხმება, ქართული პროდუქციისთვის გახსნის მსოფლიოს უმსხვილეს საექსპორტო ბაზარს. სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართული პროდუქცია ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე. ქართულ თაფლს აქვს რეალური შანსი, განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე“, - ეს სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას სიტყვებია, რომლის ჭეშმარიტებაშიც ეჭვის შეტანა რთულია, თუმცა, ჩვენი ტრადიციების მიუხედავად, დღეს საქართველოში ნატურალური თაფლის წარმოება და ყიდვა პრობლემად ქცეულა.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყო. დაინტერესებულ პირებს 16 ოქტომბერს შეხვედრა დედოფლისწყაროშიც მოუწყეს.

პროფესორმა გიორგი მაძღარაშვილმა, რომელიც დღეს გაეროს ექსპერტია, დედოფლისწყაროელ მეფუტკრეებს ევროკავშირის მოთხოვნები და საერთაშორისო სტანდარტები გააცნო. შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა და დისკუსიის სახე მიიღო.

„დღეს საქართველოში მოჩვენებითი ჭარბი წარმოებაა და გაყიდვა ჭირს, რატომ? მეფუტკრეს ფული სჭირდება, მოსახლეობას კი ფული არ აქვს. ევროპელებმა 1500 ტონა თაფლის კვოტა მოგვცეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გასაღების პრობლემა მოიხსნა. მათ ბაზარზე რომ შევიდეთ, ამისთვის მათი მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ“- განაცხადა შეხვედრაზე გიორგი მაძღარაშვილმა და ქართული თაფლის პერსპექტივებთან ერთად იმ ფაქტორებზეც ისაუბრა, რაც ხელს უშლის ჩვენს პროდუქტს ევროპული ბაზრის დაპყრობაში.

მან შეხვედრაზე მოსული დაინტერესებული პირების შეკითხვებს უპასუხა, რომელიც, ძირითადად, მოიცავდა საკითხს- ფუტკრის მოვლის პროცესიდან დაწყებული თაფლის შენახვის პირობებით დამთავრებულს, ანუ რა გზა უნდა გაიაროს თაფლმა, რათა თანამედროვე მოთხოვნები დააკმაყოფილოს. მეფუტკრეებმა მოისმინეს მისი პროფესიული რეკომენდაციები და ასევე შეიტყეს ის სიახლეებიც, რომლებსაც ფუტკრის პროდუქტების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგია მოიცავს.

* * *

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ გარკვეულ მოთხოვნებს, მათ შორის მეპაიეთა რაოდენობა იმ სოფლებში, თემებსა და დაბებში, რომელზეც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ არის 5-ზე ნაკლები და საკუთრებაში აქვთ არანაკლებ 30 სკა ფუტკრის ოჯახით, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მეპაიეთა რაოდენობა არ არის 11-ზე ნაკლები და ბალანსზე აქვთ აყვანილი არანაკლებ 60 სკა ფუტკრის ოჯახით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კოოპერატივი ვალდებულია 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს გლობალური სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტის (GLOBAL GAP) დანერგვა კოოპერატივის მფლობელობაში არსებულ საფუტკრე მეურნეობაში; ხოლო 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში მიღებულ სკებში ფუტკრის ახალი ოჯახების განთავსება. კოოპერატივები, ასევე მიიღებენ ტექნიკურ დახმარებას „თაფლის ტექნიკური რეგლამენტის“ ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია პროგრამაში მონაწილე თითოეული კოოპერატივის მიერ წარმოდგენილ თაფლის ერთ ნიმუშს უფასოდ ჩაუტარებს ლაბორატორიულ შემოწმებას.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ მეშვეობით ახორციელებს.

ინგა შიოლაშვილი

ეს არცთუ მნელად მისაღწევია

ორიოდე წლის წინ ჰერეთის (ყოფილი სტალინის) და აღმაშენებლის ქუჩების შესაყარზე წმინდა ნინოს მართმადიდებლური ჯვარი აღიმართა. მისი პროექტიც საქველმოქმედო გახლდათ და მისი განხორციელებაც ინდივიდუალურმა პიროვნებამ ითავა. ვანო ლოლაშვილმა საკუთარი ხარჯებით აღმართა ხუთმეტრიანი ჯვარი, გარშემო ქვის დაბალი ბორდიური შემოავლო და ტყის შავი მიწით შეავსო. დიდი მადლობა ბატონ ვანოს იმისათვის, რომ ამ ადგილზე ჩავლისას ადამიანებს მიეცათ საშუალება პირჯვარი გადაიწერონ და უფალი ახსენონ. თუმცა, იმის გამო, რომ ჯვარი შავად იყო შელებილი, შებინდებისთანავე იგი შეუმჩნეველი ხდებოდა. ამიტომ, გაჩნდა იდეა, ჯვრის ღამის განათებით აღჭურვის შესახებ. მით უმეტეს, რომ მსგავსი პროექტი ბოლო წელს მრავლად განხორციელდა ჩვენი რაიონის სოფლებში ეკლესიებსა თუ საგზაო მინიშნებებზე. ამ კარგ საქმესაც ჰყავს თავისი ინიციატორები, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ მათ განხორცელებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგალითად, სოფლ გამარჯვებისა და წნორის გზის გასაყარზე აღმართული ჯვრის განათება გამარჯვების რწმუნებულმა გია ჭინჭარაულმა და მისმა მეგობრებმა ითავეს. უამრავი მსგავსი პროექტი განახორციელა ზურაბ გონაშვილმა, რომელმაც უზრუნველყო ელიის მთის მისასვლელის და ჯვრის, ზემო მაჩახანში წმინდა გიორგის და მთავარანგელოზის ეკლესიის სენსორული განათება. მისივე შემწეობით სულ ცოტა ხნის წინ დამთავრდა მირზაანში პატარა ალავერდის ეკლესიის ეზოს განათება და კეთილმოწყობა. სულ ახლახანს კი ჩვენს მიერ ზემოხსენებულ, ჰერეთის ქუჩაზე მდებარე ჯვრის განათება მისივე ძალისხმევით განხორციელდა. ტექნიკურად ამ სამუშაოებს კახეთის ენერგოდიტრიბუციის დედოფლისწყაროს განყოფილების თანამშრომლები ასრულებენ. როგორც კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს განყოფილების უფროსი ივანე გიგოლაშვილი ჩვენთან საუბარში ამბობს, თანამშრომლები ამ სამუშაოზე სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სიამოვნებით მუშაობენ. ისინი ცდილობენ, უნაკლოდ და ყოველგვარი ხარვეზების გარეშე შეასრულონ სამუშაო. ამ კეთილშობილური საქმისათვის ეს ადამიანები საზოგადოების მადლიერებას იმსახურებენ.

- რაც ეს ჯვარი დაიდგა, მას მერე სულ უკმარისობის გრძნობა მქონდა, რომ შავ ფერში იყო გადაწყვეტილი და ნაკლებ ეფექტს ახდენდა მნახველზე, საღამოთი კი სულ აღარ შეიმჩნეოდა. ძალიან გვინდოდა მისი განათება. ამ წინადადებით ხან რედაქციას მივმართეთ, ხან ხელმძღვანელ პირებს.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს სურვილი აგვისრულა. ახლა მარტო ის ტერიტორია კი არ განათდა და სასაიამოვნო გახდა, არამედ მისმა მადლმოსილმა შუქმა ჩვენი ეზოებიც გაანათა და ჩვენი გულები გაათბო. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, მიღწეული ზღვარი არ არისო. მის განათებასთან ერთად ძალიან გვინდა, რომ კეთილმოეწყოს კიდეც. მადლობა ვანო ლოლაშვილს, ის ჩვენი უბნის, ევდოშვილის ქუჩის მაცხოვრებელია და კარგი, საშვილიშვილო საქმე გააკეთა. თუმცა, დაბალმა ბორდიურმა არ გაამართლა, რადგან იქ დაყრილი მიწა სულ ძირს ჩამოქავს წვიმას. ამასთან, ქალაქში უპატრონოდ გაშვებული საქონელიც ზედ უვლის იმის გამო, რომ ამ ნოყიერ მიწაზე ბალახი მრავლად ამოდის. ჩვენ, გარშემო მცხოვრებნი, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, ვუპატრონოთ. მაგალითად, ამ ზაფხულს დიმა ლაპიაშვილმა რამდენჯერმე გათიბა, დავინახავთ თუ არა საქონელს, ვუჯავრდებით, მაგრამ ეს ვერ იცავს ჯვრის გარშემო ტერიტორიას დაბინძურებისაგან. კარგი იქნება, თუ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური ჩაერთვება ამ საქმეში და ცოტა მაღალ დეკორატიულ მესერს შემოავლებს მას. ჩვენ, მთელი მეზობლები, ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ მოვუაროთ, გავალამაზოთ, გავახაროთ ყვავილები, ამასთან, ადამიანებს საშუალება მიეცემათ, პირჯვრის დაწერასთან ერთად თაყვანი სცენ უფლის ჯვარს და აანთონ სანთელი. ჩვენი აზრით, ეს არც ძვირი დაჯდება და ერთი ლამაზი ადგილიც შეემატება ქალაქს. იმედი გვაქვს, ჩვენს მოსაზრებებს გაითვალიწინებს რაიონის ხელმძღვანელობა, - ამბობს ჩვენთან საუბარში მეგი ნანობაშვილი.

ჩემის მხრივ, მეც როგორც ამ ქალაქის და უბნის მცხოვრები, ვუერთდები ინიციატივას, რადგან ამ გზასთან არის დაკავშირებული ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაც. სისტემატურად ვხედავ, როგორი წაბილწულია საქონლისაგან ეს ადგილი. მესმის, სულ ახლახანს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება უპატრონოდ გაშვებული ცხოველებისაგან დაბინძურების შემთხვევაში ჯარიმა გამოიყენოს, მაგრამ ეს ამ საქმეს ვერ გადაწყვეტს. და საერთოდ, მიმაჩნია, რომ ქალაქმა რომ ნამდვილი ქალაქის იერ-სახე მიიღოს მეტი დეკორატიული ადგილების შექმნაა საჭირო. მაგალითად, №1 საჯარო სკოლის და ხვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის შუა მდებარე წრეში, ქალაქის შემოსასვლელთან არსებულ წრეში და სხვა ადგილებშიც მოეწყოს ყვავილნარები ისე, როგორც დედაქალაქშია. ეს დიდ მატერიალურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, სამაგიეროდ გააცოცხლებს, გაახალისებს და დაამშვენებს ჩვენს ქალაქს. მოსახლეობის განწყობაზეც დადებითად იმოქმედებს. ახლა წლის ბოლოა. იწყება მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობა. კარგი იქნება, თუ გაზაფხულისათვის ამ სამუშაოების შესასრულებლად მცირე თანხა გამოიყოფა. კარგ გზებს და ტროტუარებს, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობა ინტენსიურად აკეთებს, ეს სამშვენისიც ძალიან მოუხდება.

ნაირა გორაშვილი

2008 წლის აგვისტოს ომი ჰაააგის სასამართლოს ინტერესში

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის საქმის ეთნიკური წმენდის ნაწილში. სისხლის

სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხუთშაბათის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სასამართლოს პროკურორს სურს საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე გამოძიების დასაწყებად ნებართვის მიღება. პროკურორს გამოძიების ნებართვა სამი მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ უნდა მისცეს. ჰააგის პროკურორისფატუ ბენსუდას დასკვნით, არსებობს „საფუძვლიანი ვარაუდი“ იმისა, რომ 2008 წლის ომის დროს საქართველოში სამხედრო დანაშაულია ჩადენილი.

დადგა დრო ჰააგის პროკურორმა მიიღოს გადაწყვეტილება, ჩაებმება თუ არა ის აგვისტოს ომის დანაშაულებათა გამოძიების საქმეში და ეს, როგორც ჩანს, ასეც მოხდება, განაცხდა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და განმარტა, რომ საქართველოს მხარე აქტიურად ითანამშრომლებს ჰააგის პროკურორთან:

„ჩვენი მიზანი, საქართველოს მიზანი არის ის, რომ, რა თქმა უნდა, თანამშრომლობის ფარგლებში, მათთან ერთად განვახორციელოთ საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ბოლომდე გამოვიძიოთ და გამოვაძიებინოთ მათ ჩვენთან ერთად ის ეთნიკური წმენდის ფაქტები, რომლის მსხვერპლიც ჩვენ გავხდით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. სახეზე იყო აგრესია, აგრესია რუსეთის მხრიდან და, რა თქმა უნდა, ჩვენი ვალია, რომის სტატუტის თამახმად, რომ მათთან ბოლომდე ვითანამშრომლოთ“.

ჰააგის სასამართლო არ ადგენს ქვეყნის მიერ ჩადენილ დანაშაულს. ამ შემთხვევაში შესაძლოა დადგეს სისხლის სამართლის კონკრეტული დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი ისეთ დანაშაულებზე, როგორიც არის გენოციდი, ომის და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოსგან განსხავვებით, არ არის რომის სტატუტის წევრი, ეს არ უმსუბუქებს მდგომარეობას და ვინაიდან დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთში, მოხდა, სავსებით შესაძლებელია, რომ რუსეთის მოქალაქეთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორისგადაწყვეტილებას, დაიწყოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიება, წინ უძღოდა 7-წლიანი „წინასწარი მოკვლევის“ ფაზა. ამ დროის განმავლობაში სასამართლო არკვევდა, შედის თუ არა მის იურისდიქციაში იმ დანაშაულთა გამოძიება, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს შეიძლებოდა ჩადენილიყო, და რამდენად სწორად წარმართავდნენ გამოძიებას შესაბამისი სახელმწიფოები.

როგორც ხუთშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში ჰააგის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ აღნიშნა, “არსებობს გონივრული საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ საქართველოში მართლაც იქნა ჩადენილი ჰააგის სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულები 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში“.

მიუხედავად ჰააგის პროკურორის ამგვარი მზაობისა, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს ზვიად კვაჭანტირაძეს ეჭვი ეპარება, რომ რუსეთის ხელისუფლება ითანამშრომლებს ჰააგის სასამართლოსთან და მას სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის:

„ძალიან კარგია, თუ ჰააგის სასამართლო ამით დაინტერესდება. ჩვენ არაერთხელ გვქონია ამგვარი თხოვნაც და მიმართვაც, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ რუსეთმა საშუალება მისცეს ჰააგის სასამართლოს ზედმიწევნითსრულყოფილად განიხილოს ეს საქმე და მიაწოდოს ის მასალები, რომელიც მათ ხელთაა“.

სწორედ რუსეთის მხრიდან ხელის შემშლელი ფაქტორების გამო არ ეძლეოდა ქართულ მხარეს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინფორმაციის მოპოვების საშუალება. მეტიც, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დეპუტატი აკაკი მინაშვილი განმარტავს, რუსეთის ხელისუფლებამ ბევრი მასალა გაანადგურა:

„რუსეთის ხელისუფლება სრულად უშლის ხელს სამხედრო დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, რომელიც მათ მიერ არის ჩადენილი 2008 აგვისტოს ომის განმავლობაში. როცა საქართველოს ხელისუფლება იძიებდა ამ ფაქტებს, ძალიან ბევრი მასალა შეგროვდა, თუმცა დიდი რაოდენობით მტკიცებულებები თავად რუსეთის ფედერაციამ გაანადგურა იმ პერიოდში და შემდეგაც“.

ჰააგის სასამართლომ რუსეთის ფედერაციიდანაც გამოითხოვა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ შესაძლო დანაშაულებთან დაკავშირებული მასალები. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელის ალექსანდრ ბასტრიკინის ცნობით, ეს სასამართლოს პირველი გამოხმაურებაა ამ საკითხზე უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ბასტრიკინის თქმით, საერთაშორისო საზოგადოება საგამოძიებო კომიტეტის მიერ გაწეულ სამუშაოს უარყოფს, მაშინ როცა უწყებას 500-ტომიანი საგამოძიებო მასალები აქვს დაგროვილი. ამასთან, რუსეთის მხარე, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც აქვს პრეტენზიები, საქმის პერსპექტიულობას ეჭვის თვალით უყურებს.

როგორც საერთაშორისო სამართლის ექსპერტი იურისტი დავით ჯანდიერი ამბობს, შეიძლება ითქვას, საქმე ახალ, საწყის ეტაპზეა და ძიების პროცესში ორი ძირითადი პრობლემა შეიძლება გამოიკვეთოს:

„ერთი ძირითადი ნაწილი უკავშირდება ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, მათი სახლკარის გადაწვას, მასობრივ დეპორტაციას, წამებას, მოკვლას და, მეორე ნაწილი, რომელიც უკავშირდება რუს სამშვიდობოებზე თავდასხმას, რომლის ირგვლივაც არსებობს განსხვავებული ხედვები ქართულ და რუსულ მხარეებს შორის. სწორედ ეს მეორე ნაწილი შეიძლება იქცეს ჰიპოტეტურად პრობლემურად ქართული მხარისათვის“.

შესაბამისად, დავით ჯანდიერის თქმით, ქართულ მხარეს დასჭირდება ძალიან მყარი არგუმენტების წარდგენა, რომ ქართველ მაღალჩინოსნებს და ქართველ სამხედროებს არ დაუგეგმავთ და არ განუხორციელებიათ ოპერაცია, რომლის მიზანიც იყო სამშვიდობოებზე თავდასხმა.

გახსენება

ინგა ნატროშვილის ცრემლიანი დაბადების დღე

ჩემო უზომოდ მონატრებულო შვილო ინგა, გავიდა ცრემლით, ტკივილით და მონატრებით ერთი წელი და ექვსი თვე, 20 ოქტომბერს გახდებოდი 45 წლის. როგორ გაგვწირა ღმერთმა. ასე რომ ცრემლიანი სანთლებითა და ყვავილებით გილოცავთ დაბადების დღეს ცივ სამარეში.

უშენობით გამოწვეულ სევდას ვერავინ და ვერაფერი უნელებს შენი უბედური მშობელი დედის გულს. ყველას ენატრები, ჩვენთვის ერთადერთი ნუგეში შენი შვილები არიან. თორნიკე და მირანდა. შენი სიკვდილის შემდეგ, მირანდა სტუდენტი გახდა და დაოჯახდა, ჰყავს კარგი მეუღლე და ოჯახი. ყოველ-დღე შენზე ვლოცულობ, უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ალალი, სპეტაკი სული.

აღარა ჰყავხარ ინგა შენს შვილებს, დარჩნენ ისინი დედით ობლები. ო! რა ძნელია სიკვდილი შვილის, მშობლის წინაშე სამყაროც უფერულდება, საშინელია დედა რომ ცოცხლობს, შვილი კი კვდება. ჩვენ გვსურს, სიკვდილი რომ დავამარცხოთ, დროზე შევცვალოთ თალხი ფერები. ინგა, არ მოჰკვდომიხარ შენს შვილებს, შენ მათ ზეციდან ეფერები. დღეს შენი სული ცაში ნავარდობს, უკვე ანთია ათას კელაპტრად. მიყვარხარ და ძალიან მენატრები.

დედა - ნიაზი ზურაშვილი,
ძმა-რეზო, **რძალი**- ნინო,
ძმისშვილები: ნია, თაკო; **მეუღლე** გელა ნატროშვილი; **შვილები:** თორნიკე, მირანდა, **სიძე**-ბაჩო.

მონატრება

ვლადიმერ გოგოჭური

25 ოქტომბერს 1 წელი გახდება, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი და მონატრება. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, შენმა სიკვდილმა მძიმე დარტყმა მომაყენა, ძალიან გამიჭირდა უშენობა. სიმარტოვის მკაცრი რეალობის წინაშე დავდექი. მადლობა ყველას, ვინც ცდილობს, ეს სიმარტოვე შემიმსუბუქოს, მეზობლებს, მეგობრებს, შენს დას – ეთერს, შენს ძმას – შოთას, დისშვილებს და ნათესავებს, რომლებიც ისევ ისე მკითხულობენ, როგორც შენს სიცოცხლეში. ყველას ძალიან აკლიხარ და ენატრები, იხსენებენ შენს სიკეთეს, ყურადღებას და პატივისცემას მათ მიმართ, შენს გამორჩეულ იუმორს, შენს კაცურად გავლილ სიცოცხლის წლებს.

ჩემო ძვირფასო, მთელი წელია, ვლოცულობ შენი სულისთვის, არ გაკლებ სანთელსაკმეველს და ვთხოვ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი მეუღლე
ნათელა ფიცხელაური.

ხელების დაბანის მსოფლიო დღე

გაეროს ბავშვთა ფონდმა 15 ოქტომბერი ოფიციალურად გამოაცხადა ხელების დაბანის მსოფლიო დღედ (Global Handwashing Day). იგი პირველად 2008 წელს აღინიშნა, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ სანიტარულ წლად გამოცხადების ფარგლებში.

თითქოსდა ხელების დაბანა ადამიანის პირადი საქმეა და თითოეულს შეუძლია თავად გადაწყვიტოს სისუფთავის მოთხოვნილებისა და აღზრდიდან გამომდინარე. მეორეს მხრივ, როგორც გაეროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები აღნიშნავენ, დაუბანელი ხელების პრობლემას, თუ მას მსოფლიო მასშტაბით განვიხილავთ, კატასტროფული შედეგები მოაქვს.

დაუბანელი ხელებით ადამიანის ორგანიზმში ხვდება ისეთი საშიში დაავადებების გამომწვევები, როგორიცაა ქოლერა, ვირუსული პნევმონია, ჰეპატიტი, გრიპი, მწვავე რესპირატორული დავადება.

"ჭუჭყიანი ხელები" წარმოადგენს აზიასა და აფრიკაში ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი დონის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რადგანაც არარეგულარულმა დაბანამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი დაავადებები, როგორიცაა ქოლერა, დიფტერია, პნევმონია, გრიპი, ჰეპატიტი, ჩვეულებრივი გაციება, კონიუნქტივიტი, მუნი, სხვადასხვა სოკოვანი დაავადებები.

"იუნისეფის" მონაცემებით, ყოველდღიურად, მხოლოდ დიარეით, რომელსაც ასევე "ჭუჭყიანი ხელების" დაავადებას უწოდებენ, ხუთი ათასი ბავშვი კვდება. მათი ნახევრის გადარჩენა შეიძლებოდა, თუ ჭამის წინ და საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ, ხელების საპნით კარგად დაბანა ყველასათვის სავალდებულო იქნებოდა. ამიტომ, ისეთმა მარტივმა ჰიგიენურმა პროცედურამ, როგორიცაა ხელების დაბანა, ყოველდღიურად შეიძლება გადაარჩინოს ათასობით ბავშვის სიცოცხლე. ის არა მარტო გვიცავს ინფექციებითა და ვირუსებით ორგანიზმის დასნებოვნებისგან, არამედ ჩვენს ცხოვრებას უფრო კომფორტულს, უსაფრთხოსა და სასიამოვნოს ხდის.

გაეროს მხარდაჭერით ორგანიზებული მასშტაბური აქციების მიზანია, მთელს მსოფლიოში (განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს), ამ მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ჰიგიენური პროცედურისადმი, საზოგადობის ყურადღების მიპყრობა.

ბევრ ქვეყანაში, ხელების დაბანის დღეს, მასმედიის დახმარებით სტარტს იღებს ზოგადნაციონალური ჰიგიენური კამპანია, მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბროშურები.

თავისებური რეკორდებიც მყარდება ამ დღეს. მაგალითად, რამოდენიმე წლის წინ, 15 ოქტომბერს, ბანგლადეშის მცხოვრებლებმა ჩაატარეს, მონაწილეების რაოდენობით, გრანდიოზული აქცია. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთდროულად ხელს იბანდა 53 ათასი ადამიანი.

ულოცავენ!

რევაზ მიშველაძეს!

თემურ ჩალაბაშვილს!

ბატონო რეზო, გილოცავთ თბილისის საპატიო მოქალაქის ტიტულს მონიჭებას, ბატონი თემურ ჩალაბაშვილს კი – სიღნაღის საპატიო მოქალაქედ არჩევას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა თქვენი შემოქმედებით კვლავაც დიდი სიამოვნება მიანიჭოთ თქვენს ერთგულ მკითხველს. ვისურვებთ, თქვენი თაოსნობით საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობა წარმატებული ყოფილიყოს.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწერალთა ასოციაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი.

გია ალუღიშვილს!

ჩვენო ძვირფასო შვილო, გილოცავთ დაბადების 55 წლისთავს. 22 ოქტომბერი ჩვენთვის სიხარულის მომტანი დღეა. ვამაყობთ შენით, როგორც წარმატებული მხატვრით და კარგი ადამიანით. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას მეუღლესთან, შვილებთან: დეასა და ანასთან, შვილიშვილებთან: იოანესა და კატოსთან ერთად. შენ ხარ საუკეთესო შვილი, მამა და პაპა, საიმედო მეზობელი და მეგობარი, ამიტომ უყვარხარ ყველას ასე გამორჩეულად. იყავი კვლავაც მხნე და ენერგიული, წარმატებული და სახელოვანი. უფალი იყოს შენი მფარველი!

სიყვარულით,
მშობლები: ლალი და ჯიმი ალუღიშვილები.

ხათუნა ალუღიშვილს, ნინო ღორაშვილს, მარიტა ბექიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, კოლეგებო! ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ თქვენს ოჯახებთან და კოლექტივთან ერთად. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

პატივისცემით,
ქ.დედოფლისწყაროს №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები

არსენ ყოჩიაშვილს!

შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, 19 ოქტომბერს 22 წლის გახდები. ბევრი ჭაბუკური ოცნების ასრულებას გისურვებთ. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი, გიცოცხლოს ყველა კეთილისმსურველი. გვეიმედება, რომ კარგი ადამიანის სახელს დაიმკვიდრებ ცხოვრებაში.

ბიძინა და ვაჟა პოპიაშვილები

იცით თუ არა რომ...

იცოდით, რომ ცნობილი დაბადების დღის მილოცვა "Happy Birthday To You" დღესდღეობით არის საავტორო უფლებების დაცვის ქვეშ. ეს სიმღერა შეუძლია ყველამ იმღეროს მეგობრების წრეში, ოჯახის წრეში და ა.შ., მაგრამ ამ სიმღერის გამოყენება არ შეიძლება კინოში ან ოფიციალურ მისალოც ბარათებზე, თუ არ გადაიხდიან გარკვეულ ჰონორარს. დღესდღეობით ამ სიმღერას ყოველწლიურად შემოაქვს 2 მილიონი დოლარი იმ კომპანიისათვის, რომელიც ფლობს ამ მუსიკის უფლებებს.

იყიდება!

იყიდება 500 კვ.მ ეზო თავისი სათავსოებით . მისამართი: ყაზბეგის ქუჩა N 3. ფასი 1600$. ☎ 591 80 59 82.

ყურადღება!

იქმნება ბავშვთა და მოზარდთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი

იქმნება ბავშვთა და მოზარდთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომლის ჩამოსაყალიბებლად დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში (სამუსიკო სკოლის შენობა), გელა გველუკაშვილის ხელმძღვანელობით, მუშაობას იწყებს მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც მიიღებიან 5-დან 18 წლამდე ასაკისა და შესაბამისი მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვები და მოზარდები. ჯგუფში სიმღერასთან ერთად შეისწავლება გიტარა, სალამური, ფანდური, კლავიში. მოსამზადებელი ჯგუფი ფასიანია და ბავშვის მომზადების დონისა და მეცადინეობების სიხშირის მიხედვით შეადგენს 15, 20 ან 30 ლარს.

მსურველთა გასინჯვა იწარმოებს ხელოვნების სკოლის (სამუსიკო სკოლის)შენობაში, მე-7 ოთახში, ყოველ სამშაბათს და ოთხშაბათს 15 საათიდან.

ინფორმაციისთვის დარეკეთ სამუშაო დღეებში11-დან და 14 საათამდე შემდეგ ნომერზე:

☎ 599-68-77-76 **გელა გველუკაშვილი**

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 19.10	სამშაბათი 20.10	ოთხშაბათი 21.10	ხუთშაბათი 22.10	პარასკევი 23.10	შაბათი 24.10	კვირა 25.10
დღე	11 °	15 °	12 °	12 °	13 °	16 °	14 °
ღამე	10 °	11 °	10 °	10 °	11 °	12 °	8 °

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.